


მარტინი



მე ვარ შწყემსი კეთილი: შწყემსმან კეთილმან სული თვისი
დაპსლევის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

გვივე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი
და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 5

1883—1903

15 მარტი

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განცოლისაზე: შორაპნის მაზრის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრების გამო დ. ყვი-
რილაში 6 მარტს. — გავლენა საზოგადოებისა ხასიათის შემუშევებაზე. მღ. ს. ჭუმბურიძე. — ლია წერილი რაჭის მაზრის
სამღვდელოების მიმართ. მღ. მიხეილ გაგაშელიშვილი. — წერილი რედაქციისადმი. მღ. არტემ ბოჭორიშვილი. — ურნალ-
გაზეთებილან. — ახალი ამბები და შენიშვნები.

სრაპლა და მოციელება: ჩრდილიანობრივ საჩრდილოებას აუ ძითილ-ჯვეობაზე: მოძღვრება, თქმული
სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა წინ ღირსის დავით აღმაშენებელის დღეს. ყ-დ სამღვდელო იმერეთის ეპის-
კოპოსის ლეონიძის მიერ. — მოკლე მოძღვრება მრევლის მღვდლისა ეკკლესიის წმ. სანთლის ხმარების შესახებ. მღ. მიხეილ
გაგაშელიშვილი.

საჭირო და სასაჩვენებლო ცეობათა განცოლისაზე: საეჭვო კითხვების განმარტება. — რედაქციის პასუხი.

შორაპნის მაზრის სამღვდელოების წარმომად-
გენელთა კრების გამო დ. ყვირილაში 6 მარტს.

დღიდგან ეპარქიაში შემობრძანებისა მათი მეუფება,
იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიძი მეცადინეობს, რომ
ასრულოს ის დიდი მოვალეობა, რაც განგებით
მას ერგო ღვთისაგან; სულით და გულით ცდი-
ლობს გაიცნოს მწყემსნი და სამწყსონი, რომ უფრო
ადვილად დამწყსოს რწმუნებული სამწყსო თვისი.

ამისათვის პირველად ღათვალიერა მთლად თვისი
სამწყსო, გაიცნო და შეიტყო მწყემსნი და სამწყ-
სონი. მართალია მან შეიტყო ბევრი მისი ნაკლი,
მაგრამ, სამაგიეროდ, იმერეთის ეპარქიაში მან ნახა
ბევრი სანუგეშო და სასიამოენოც, რომელსაც სხვა
ეპარქიებში იშვიათად ნახავთ. იმერეთის ეპარქია-
შიც, რასაკვირველია, შენიშვნავთ სარწმუნოებრივ
და ზნეობრივ სწავლა-მეცნიერების დასუსტებას, შე-
იძლება დაუდევნელობით და შეუგნებლობით მათ



არა ჰქონდეთ რიგიანი ტაძრები, მაგრამ იმ სიყვარულით, იმ კრძალვით და პატივისცემით მიგებება და მიღება თავის მწევებს-მთავრისა, რომელსაც ოქვენ წახავთ იმერეთის ეპარქიაში, სხვა ეპარქიებში სწორედ იშვიათად შეხვდებით. ეს სასიამოვნო კავშირი მღვდელ-მთავარსა და სამწყსოთა შორის, შემოღებულია იმერეთის ეპარქიაში ნეტარ ხსენებული გაბრიელის ლროიდგან და იმის შემდეგ ვანახლდა ისევ ეხლა.

მათმა მეუფებამ ეპარქიის დათვალიერების დროს ბევრი რამ სამწუხარო მოვლენა შენიშნა: სამწყსოთა დაქვეითება ქრისტიანობრივ რელიგიურ და ზნეობრივ სწავლა-მეცნიერებაში, სხვა-და-სხვა მავნებელი და ხალხის დამღუპველი ჩვეულებანი, რომელსაც იყინი ასე ერთგულად ასრულებდენ განსაკუთრებით გარდაცვალებულთა დამარხვის დროს, მწყემსთაგან მარტო მღვდელ-მოქმედების აღსრულება. ყველა ამეცნიერება მათი მეუფება ძლიერ დააღონა და ენერგიულად შეუდგა მავნე ჩვეულებათა მოსპობას და მწყემსთა იახმარებას მათი მოვალეობის აღსრულების საქმეში. მთელი ეპარქიის დათვალიერებამდისინ მათმა მეუფებამ მოახდინა განკარგულება მოსპობისათვეს სოფლებში ფარისევლური, ხალხის გამაღარიბებელი და მართლ-მადიდებელი ეპკლესიის ტიბიკონის წინააღმდეგი გარდაცვალებულთა დამარხვის აღსრულება. მართალია ამით მათ მეუფებას ბევრი უსიამოენებაც მიაღვა, ნივთიერადაც ბევრი მოაკლდა, მაგრამ არც ერთს ამას არ მოერიდა. ზოგიერთები, წარმოიდგინება, კიდევ გამოექომაგნ გაუნათლებელ ხალხს, რომ ეს მავნე ჩვეულება სავსებით დარჩენილიყო, მაგრამ ამაოდ! ეს მექომაგნი სწორედ იმ ხალხს ღაემსგავსენ, რომელთაც თავი გამოიდვეს ქრისტიანობის მიღების შემდეგ კერპებისთვის ხელი არ ეხოთ და მცხეთის გორაკებიდან არმაზის კერპები არ გაღმოეგდოთ და არ დაეტრირიათ!.. დიალ, ამ ცუდ და მავნე ჩვეულებას დამცველი აღმოუჩნდენ!.. ასე ძნელია დიდი ხნის ჩვეულების მოშლა, რაც უნდა ცუდი იყოს იგი. იმედია, რომ ათი თხუთმეტი წლის შემდეგ, ისე სასაცილო მოსახონებელი შეიქნება ეს იმერული თვალთ-მაქური გამოტირილი, როგორც ეხლა სასაცილო მოსაგონლად მიაჩნიათ ყველას ძველებური დროის ქალების ორ-გუნდათ „ქვითინი“ გარდაცვალებულთა დამარხვის დროს...

ნაცვლად შეუფერებელი და ქოხების მსგავსი ტაძრებისა, მრევლთაგან შენდებიან და იმკობიან რიგიანი ახალი ტაძრები. ეხლა მათმა მეუფებამ მიჰყონ ხელი ხალხში ქრისტიანობრივი სწავლა-მეცნიერების გაფრცელებას. რა გზით მოახერხოს ეს და რა ზომა იხმაროს ამ მიზნის მისაღწევად, ბევრს ჰფრექტობს ამაზედ მათი მეუფება. ქალაქ ქუთაისში უკვე დაარსა საუბრები და საკითხავები ყველა ეკლესიებში. ეხლა მათ მეუფებას სურს, რომ სოფლებშიც შემოილონ მღვდლებმა გარეშე ღვთის-მსახურებისა საუბრები და საკითხავები. ვინაიდან სამღვდელოების დაბარება ქუთაისში გამოიწვევდა მღვდლებისთვის ხარჯსა და დროს დაკარგვას, ამიტომ მათმა მეუფებამ კეთილ ინება და ბლალობინები—საძ-სამი მღვდელითურთ თითო საბლალობინდან შეკრიბა დ. ყვირილაში 6 მარტისათვის. დ. ყვირილა ისეთ საშუალო აღილზე არის ამ მაზრაში, რომ დილით ყველას შეეძლო მოსვლა ამ დაბაში და საღამოთი შინვე დაბრუნება. აქედან რკინის გზის მატარებლებით შეიძლება ღილითაც და საღამოთაც წასვლა-მოსვლა. მათ მეუფებას ეს ჰქონდა სახეში და ამისათვის დანიშნა დაბა ყვირილაში სამღვდელოების კრება და პირისპირ სურდა მოლაპარაკებოდა სამღვდელოებას ამ საუბრების გამართვის შესახებ. 6 მარტს, დილის 6 სათ. სააგ. მატ. მობრძანდა ყვირილაში მათი მეუფება. მათ მეუფებას საღვურზედ მიეგვება დეკ. დ. ღამბაშიდე, სამღვდელოება და აღვილობითი პოლიციის „ბოქაული“. მათი მეუფება საღვურიდან წაბრძანდა ყვირილის ეკლესიის აღმაშენებელ—გედევან ჩუბინიძის სახლში, რომელიც ყვირილის ეკლესიის ეზოს გვერდზეა. აქ რაღვან ღამბათევი ბრძანდებოდა მათი მეუფება. ცოტა ხანი შეისვენა. მეცხრე საათზე ყველა ბლალობინებიც და სამღვდელოება შეიკრიბენ. ბევრიც თავისით მოვიდა კრებაში მონაწილეობის მისაღებად. კრება იყო ჩუბინიძის სახლის ერთ დიდ ზალაში, რომელშიაც ორას კაცამდე დაეტეოდა. მეცხრე საათზე გამობრძანდა მათი მეუფება თავის ბინიდან. სამღვდელოებამ იგალობა სული წმიდის ლოცვა და შემდეგ თითეულმა კრების წევრმა მიიღო კურთხევა მათი მეუფებისაგან. ლოცვა-კურთხევის მიღების შემდეგ, დასხდნენ თავთავიანთ აღილზე. მათმა მეუფებამ გახსნა კრება და მიმართა შემდეგი მგრძნობიარე სიტყვით:

მე გთხოვეთ და შეგკრიბეთ დღეს, პატიოსან-
ნო მმანო, იმ აზრით და სურვილით, რომ თქვენ-
თან ერთად, თქვენი ძმური დამარებით და ცოდნა-
გამოცდილების შემწეობით გამოვგებნო მოძღვართა
მოქმედების ერთი მეტად თვალსაჩინო და ფრიად
მიშვნელოვანი მხარის აღდგენისა, განცხოველებისა,
წინსვლისა და შესაძლო წარმატებისათვის საღარნი
და საშუალებანი. მე ვგულისხმობ მქადაგებლობას,
მოძღვართა მოქმედების იმ მხარეს, რომლითაც იგინი
მწყისა მრევლს, ე. ი. ძნელსა და მაღალს ღვთის
მოძღვრებას ჰყოფენ კაცის გონების მისაწოდომად,
აღძრავენ ადამიანთა გულში ღვთის მცნებათა იღ-
სრულება—განხორციელების მხურვალე სურვილს,
უწვევებენ, უხსნიან კაცს აქაური ცხოვრებისა და
მოქმედების ნამდვილსა და შეუცდომელ აზრს, მოკ-
ლედ რომ ესთქვათ—შესძენენ თვითის სამწყსოს იმ
სათხოების, რომელსაც „აღთქმა აქვს ცხოვრებისა
აწინდელსა და მერმისა“ (ა. ტიმ. 4, 8) ქადაგება,
დამწყსა, ღვთის სიტყვით დამოძღვრა ერისა იმდენად
ძველი და ხნერია, რამდენად ძველი და ხნერია
თვით მღვდელობა, მოძღვრობა და სულიერი მწყემ-
სობა. ქადაგება, დამწყსა, ღვთის სიტყვის გატარება
ადამიანთა გონებასა და გულში, უხვად და განუწ-
ყვეტელად თესვა ღვთაებრივი მოძღვრებისა კაცთა
შორის, მოგეხსენებათ, შეადგენდა მღვდელთა უმაღ-
ლეს და საღმრთო მოვალეობას როგორც ძველს,
ისე ახალ აღთქმაში.

მოძღვართა აღნიშნული მოვალეობა ფსიხო-
ლოგიურია, იგი კაცის სულთან არის დაკავშირე-
ბული და, თუ შეიძლება ასე ესთქვათ, ღვიძლი
შვილისა. ყველაზ ვიცით რა დიდი და განუ-
საზღვრელი გავლენა აქვს მორწმუნე ქრისტიანის
გონებასა და გულზედ საღმრთო სიტყვის კითხვა-
მოსმენას, კარგად გვესმის რამდენად ნუგეშობს და
სტკება სულიერად ღვთის მმოსავი მორწმუნე წირ-
ვა-ლოცვისა, საიდუმლოთა და საღმრთო მოქმედე-
ბათა შესრულება-მოსმენით, გარნა ისიც ცხადზედ
უცხადესი და ნამდვილია, რომ მორწმუნეს სული
მინც კიდევ დიდ მოთხოვნილებასა გრძნობს, ყვე-
ლა ამასთან ყრთად მას კიდევ სწყურია თავისავე
მსგავსი ხორცა და სისხლში მყოფი კაცის პირიდან
გაიგონოს და შეიგნოს ღვთის სიტყვის განმარტება,
საღმრთო მცნებათა აზრი, კეთილი და სათხო მო-
ქალაქობის უტყუარი გზა. აი რითი აიხსნება, რომ

მსგავსად მშიერი ბავშვისა, რომელიც მოელი თავისი
ლონით მიიწევს დედის მცერდისკენ და სასოებით
შეპყურებს დედის საყვარელ სახეს, ყოველი მღვდელ-
მოქმედებისა და შესაფერი შემთხვევების დროს
მრევლი სულით და გონებით მიზიდულია მოძღვრის-
კენ და სასოებს მისგან სულიერი საზრდოს მიღებას,
სწავლა-მოძღვრების გაგონებას! აი რითი აიხსნება,
რომ მქადაგებელი სულიერი მამა ყოფილა, არის და
მუდამაც იქნება ერისათვის მეტად საყვარელი, ფას-
დაუდებელი და სათაყვანო პირი! სწორედ შეუდა-
რებელია ის ღიღებული სურათი, რომელსაც წარ-
მოადგენს ამბიონზედ მდგომარე, სულიერი მშვიდო-
ბით გაცისკროვნებული, ოლრით და ფილონით შე-
მოსილი მოძღვარი, მამა შვილურად, წრფელის სიყ-
ვარულით და ნამდვილი ერთგულებით მოსაუბრე
თავის სამწყსოსთან, როდესაც მოძღვარი მოციქუ-
ლის სიტყვისამებრ „ამხილებს, შერისხავს და ნუგე-
შინის სკემს (თავის სამწყსოს) ყოვლითა სულ-გრძე-
ლებითა და მოძღვრებითა (ბ. ტიმ. 4, 2). ღიღი და
პატარა სმენადაა ამ ღროს გადაქცეული, ყველა წინ
მიიწევს, ცერებზე დგება ღიგინახო მქადაგებელით;
მსმენელთა აზრი, სურვილი და გულისცემა შეპყრო-
ბილი, დაჭრილი და მოცულია მთლად მქადაგებე-
ლით. ყოველი სიტყვა და მოქმედება მქადაგებელისა
იწვევს მსმენელთა გულის სიმების შესაფერ მოძრა-
ობას, ამის გამო ღიღრთოვანება მეტყველისა, ელვის
სისწრაფით გადადის მსმენელთა ზედ, ტირილი მქა-
დაგებელისა, ცრემლთა ფრჩევედ ჩდება ერში, დამ-
შვიდება პირველისა, ამშვიდებს სამწყსოს, შეწუხება
და ღლელვება მისი, მგრვვინვარე და აღშფოთებულ
ზღვადა ჰქმნის იმის. მაღლიანი მსჯელობით მკვიდრ
შენობას ავებს მქადაგებელი მსმენელთა გონებაში,
ცხებული სიტყვა მოძღვრისა ფიცარში ჩასობილი
ლურსმანივით რჩება სამწყსოს გულში, გრძნობიერი
რჩევა და დარიგება მისი, მძიმე და მაგარი გრდემ-
ლივით ჰმუსრავს მსმენელთა დაუდევრობას, უდებე-
ბას და ბიწიერ მრმართულებას. გაიხსენეთ იოანე
ოქროპირი, ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის მეტ-
ყველი, ათანასი დიდი, ამბროსი მედიოლანელი,
ნეტარი ავგუსტინე და ზემორე ნათქამი ცხადი გახ-
დება თქვენთვის. წარმოიღვინეთ რა გვარი თავდა-
დებით, მხედვით, ბეჯითობით, უხვებით და სიმარ-
ჯვით მეტყველებდენ მიტროპოლიტი ფილარეტი,
მთავარ ეპისკოპოსნი: ინნოკენტი, ნიკანორი, ამბ-

როსი, ჩვენი ქვეყნის ღიდებული მწყემსთ-მთავარი გაბრიელი, და უკელანი დამეთანხმებით, რომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სამწყსოსთვის მოძღვრის ცოცხალ სიტყვის, ქადაგებას.

ვიღისთვისაა დღეს გაუგებელი და შეუტყობელი ის ვარემოება, რომ როგორც სხვაგან, ისე ჩვენ-შიაც თვალისაჩინოდ გულ ცივი და სარწმუნოების ურჩი, გარეწარი შეიქნა ერი. ერთი ნაწილი ჩვენი სამწყსოსი—განათლებულად წოდებული რომ მოძღველებულად, ხანგადასულად სოვლის ქრისტიანობას, ზემოქმეტად მიაჩნია ეკკლესიის დადგენილებათა აღსრულება და აღარ ახსოვს მარხვა, დავიწყებული აქვს კერძო და საერთო ლოცვა, თუ ისრულებს რომელიმე ქრისტიანულ საიდუმლოს, ასრულებს მხოლოდ იმის გამო, რომ ამას თხოულობს მისი სახორციელო მოავრობა, მეორე ნაწილი—დაბალი ხალხი მეტად ნაკლებად იცნობს თავისი სარწმუნოების მაღალ აზრს, ერთობ შემუდარი და მახინჯი შეხდულობისაა თავის ზეობრივ მოვალეობაზედ და ძალიან ხშირად ვხედავთ მას მუხლის თავებზე მდგომარეობას?

რას ვაკეთებთ და რა ზომებს ვლებულობთ, როდესაც ვხედავთ ჩვენ სულიერ ცხოვართა ამგვარ მდგომარეობას?

ნუ შეგვეშინდება სიწრფელისა და გულ-ახდილობისა, თუმცალა სასირცხო და გასაშითლებელია, მაგრამ ვალვიაროთ სინამდვილე: არც არაფრის ვაკეთებთ და არც არაფრის გაკეთების მხადებაში ვართ. ყველანი გავჩუმებულვართ, გულ-დამშვიდებით და მამა-პაპური შეცევით ვალაშებთ დღეებს, თითქოს ჩვენი სამწყსოს სულიერი ცხოვრება მართლა ისე სწორე, სასურველ და საიმედო კალაპოტში მოქმედებდეს, რომ მის მწყემსებს აღარა მოგვეთხვებოდეს რა გარდა წირვა-ლოცვისა, მონათვლა-დამარხვისა, ჯვარისწერა-ტაბლების (საკურთხების) კურთხევებისა. არსად მოძღვრება-ქადაგება, არსად სახალხო კითხვები, არსად გაწყობილი გალობა! რა ჰქვიან ამას თუ არა „მწყემსთა მირულება“? ნუ თუ დღევანდელი ჩვენი საქციელით არ ვემსგავსებით ისრაილების სამღვდელოებას, რომელსაც ასე მწარედ და შეუბრალებლად ყველის უფალი წინასწარმეტყველის პირით: „ჰო მწყემსნო ისრაილისანო, ნუ ძოებენა მწყემსნი? აჲა, სძესა შესჭამთ, და მატყლთა

შეიმოსთ, და პოხილთა დაჰკლავთ, ცხოვართა ჩემთა არა ძოებთ, მოუძლურებული არ განაძლიერეთ, სნეული არ განამართლეთ, შემუსვრილი არ შეკართ; ცომილი არ მოაქციეთ და წარწყმედული არ მოიძიეთ?“ (ეზეკ. 34, 3). ნუ თუ ჩვენზედ არ არის ნათქვამი— „მღვდელთა არა სთქვეს სადა არს უფალი?“ (იერემ. 2, 8). გვედრებით ნათქვამი არ მიიღოთ შეურაცხებად, ვინაიდგან „არა საკლემელად თქვენდა ვიტყვი ამას, არამედ ვითარუა შეილთა ჩემთა საყვარელთა გასწავებ“ (ა კორინ. 4, 14). გთხოვთ და გვედრებით ყველას—ვიკმართოთ ამოდენ ხანს ძილი, გამოვთხიზლდეთ ყველანი გონებით და ზნეობით, შევიგნოთ ჩვენი სამრროთ მოვალეობა და ამიერიდან ნულარ ვიკაზრებთ ქვის მიწოდებას, როდესაც სამწყსო გვთხოვს პურს. თუ აქამომდე ნაკლებად გვყავდა შესაფერი სწავლა-განათლებით აღჭურვილნი მოძღვრები, დღეს, ლეთის მადლით, ამისთანები სანთლით საძიებელნი აღარ არიან. ვახსენოთ უფალი, მოვალეობად დავიდგინოთ ერში ლვთის სიტყვის შეგნებულად თესეა და გთხოვთ გულსმოდგინეთ მაცოდინოთ თქვენი აზრი და შეხედულობა, თუ რა გზით და რა საშუალებით უფრო შესაძლო და საადვილო იქნება ამ კეთილი სურვილის განხორციელება.

(გაგრძელება იქნება).

გავლენა საზოგადოებისა სასიათის შემუშავებაზე.

(ბეგონი, სმიათესი, გერბერტი).

ამბობენ და ამას ბეკონიც ამტკიცებს, რომ კაცი იცნობება იმ საზოგადოების მიხედვით, რომელშიაც ის იმყოფება. ცხადზე უცხადესია, რომ ფხიზელი კაცი არ დაუმეგობრდება ლოთს, ზრდალობიანი—უზრდელს, პატიოსანი—უპატიოსანის. ზნეობით დაცემულ პირებთან მეგობრობა ნიშანი დაბალი გემოვნებისა და ბიწიერებისადმი მიღრეკილებისა; დახლოება ასეთი პირებისაგან შემდგარ საზოგადოებასთან გამოიწვევს ხასიათის დამდაბლებას; ლაპარაკი ასეთ კაცებთან ძლიერ მავნებელია, რადგან ის, თუმცა თვალისაჩინო ვნებას არ იძლევა,

მანც ტოვებს აზრსა და გრძნობაში მავნებელ თესლს, რომელიც, როგორც გადამდები სენი, შემდეგში მიუცილებლად იჩენს თავს.

თუმცა ოჯახური აღზრდის გავლენა შემდეგ ცხოვრებაშიაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას, მაგრამ რაც იზრდება იდამიანი, ისე დგება ისეთი დროც, როდესაც გავლენა ოჯახისა ხასიათის შემუშავებაზე კარგავს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და მის აღვილს იჭერს უფრო ხელოვნური აღზრდა სკოლისა და საზოგადოებისა. რომლებიც განაგრძობენ ხასიათის შემუშავებას მაგალითის ძლიერი გავლენით. როგორც ახალგაზდებს, ისე მოხუცებსაც, უფრო კი პირველებს — არ შეუძლიათ არ მიბაძონ იმათ, ვისთანაც მათ ნაცნობობა და მევობრობა აქვთ. მარტლაც ეჭვს გარეშეა, რომ იმ საზოგადოებას, რომელშიაც ჩვენ ცხრავრობთ, დიდი გავლენა აქვს ჩვენ ხასიათზე. კაცი, როგორც სმაილისი ამტკაცებს, გრძნობს მიღრეკილებას წაბაძვისადმი და ბევრად თუ ცოტად ცველა ემორჩილება იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც მათზე ახდენს საქციელი, თავის დაჭრა და საგანზე შეხედულება მათი ამხანაგებისა. ამნაირად, მაგალითს დიდი მნიშვნელობა აქვს, ის ნამდვილი სკოლაა ადამიანისათვის. მიმბაძობა იმდენად გაუგებლად, ინსტიქტიურად ხდება, რომ ხშირად კაცი ვერც კი გრძნობს მის გავლენას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს გავლენა სუსტი იყოს. ძლიერი და თვალისაჩინო ცვლილება კაცის ხასიათში იმ შემთხვევაში ხდება, თუ მერძნობიარე ბუნების პატრონი დაუახლოვდა ისეთი მაგარი ბუნების პატრონს, რომელსაც შეუძლია პირველზე მოახდინოს ძლიერი შთაბეჭდილება, თუმცა სუსტი ბუნების პატრონებსაც კი. შეუძლიათ რაოდენიმე გავლენა იქონიონ იმათზე, ვინც მათ გარს ახვევიან. შეტაკება აზრებისა, გრძნობათა და ჩვეულებათა ყოველ წამში ხდება და ამიტომ მაგალითის მოქმედებაც არასოდეს არ ისპობა. შენიშნულია, რომ მოხუცი ცოლ-ქმარი, ან ისეთი პირები, რომლებსაც დიდხანს ერთად უცხოვრიათ, ისე დამგვანებულან ხასიათით ერთი მეორეს, რომ, თუ მათ ჩვეულებრივ ადამიანზედ მეტ ხანს ეცოცხლათ და ერთად ყოფილიყენ, მნელი გასარჩევი შეიქმნებოდენ ერთი მეორისაგან. თუ ეს მართალია ხანში შესულთა შესახებაც, რამდენად მართალი იქნება შესახებ ახალგაზრდებისა, რომლების ბუნება უფრო

რბილი, მგრძნობიერი და ყველაფრის აღვილად შემთვისებელია. მიმბაძობა და მაგალითი რაც დრო გადის ხდება ჩვეულებრივ მოვლინათ და გადაიქცევა ხასიათით, რომელსაც იმოდენი ძალა აქვს, რომ სანამ ჩვენ მას ვიგრძნობდეთ, უკვე დამორჩილებული აქვს ჩვენი პიროვნული თავისუფლება. ცუდი ჩვეულებანი, ამბობს სმაილისი, ისე იმონავებენ კაცს, რომ ის ხშირად კიდეც აჯოჯოხეთებს თავის ბიწიერებას, მაგრამ მანც ვეღარ ახერხებს მოიშალოს ერთხელვე შეთვისებული ცუდი მიღრეკილება. რაღაც კაცს ხშირად არ შეუძლია წინააღმდეგს ცუდ ჩვეულებას, ამიტომ ის ხდება მის ყურ-მოჭრილ ყმათ. შეთვისება და განმტკიცება ჭკვის ისეთი ძალისა, რომელსაც შეესლოს მედგრად შებრძოლება ერთხელვე შეთვისებულ ცუდ ჩვეულებასთან, შეიძლება ჩაითვალოს უდიდეს ნაყოფად ზნეობრივი სიმტკიცისა.

თუმცა მაგალითების საშუალებით ხასიათის შემუშავების დროს ბევრი რამ სრულდება ჩვენდა გაუგებლად, მაგრამ ახალგაზდები არასოდეს არ უნდა იყონ ბრმად მიმბაძვნი იმ პირებისა, რომლებიც მათ გარს არტყიან, რადგან საკუთარი მოქმედება და საგანზე შეხედულება ბევრად უკეთ გამოარკვევს მათ მიზანს ცხოვრებაში, ვინემ წაბაძვა მათი ამხანაგების აზრისა და მოქმედებისა. თითეული მათგანი თავის თავში იპოვის სულიერ ძალას თავისუფალი მოქმედებისათვის და ეს ძალავე მისცემს მათ შეძლებას შემდეგში თითოვე ამოირჩიონ მეგობრები. მხოლოდ ხასიათის სისუსტისა გამო, ზოგიერთები სდებიან მონად თვის გულის თქმათა და სხვების მონურ მიმბაძველიად. თუ ახალგაზდები კარგ გავლენის ქვეშ იმყოფებიან და თავისუფლებით სინდისიერად სარგებლობენ, მათ შეუძლიათ მონახონ საზოგადოება ისეთ პირთა, რომლებიც ზნეობით მაღლა დგანან, და კიდეც წაბაძონ მათ მაგალითს. კარგ კაცთა საზოგადოებაში ახალგაზდები ყოველთვის მონახვენ სასარგებლო სულიერ საზრდოს და ცუდ საზოგადოებაში კი მარტო ბიწიერებას შეიძენენ. როდესაც ზნეობით მაღალისა და კეთილ-შობილ ხალხთან ცხოვრებთ, თქვენ თითონ ამაღლებულად და რაღაც მათი სინათლით განათლებულად გრძნობთ თავს. მეორე მხრით ყველაზე უფრო ჭკვიანი და გამოცდილი კაცებისაგან შემდგარ საზოგადოებას აქვს ძალა რაღაც საუკეთესო აზრების გა-



ჩენისა ჩვენში. როდესაც ვისმენთ მათ მსჯელობას, ჩვენ თითონ ვეზევეგით კანონიერ მსჯელობას და თითქოს მონაწილე ვხდებით მათი სიბრძნისა. მათი შეხედულებით ჩვენ ვაფართოებთ საკუთარ შეხედულებას, ვსარგებლობთ მათი გამოცდილებით და ვიძენთ ცოდნას არა თუ მარტო მისი გაგებით, რა შეადგენდა ცხოვრებაში მათვის სიხარულსა და ბედნიერებას, უფრო კიდევ მით, თუ რა აწუხებდა და აწუხებს მათ. თუ ისინი სულით ძლიერი არიან, ჩვენც ცოტა მაინც ასეთი ძალა შევვემატება. აი ამიტომ ჭიდონა და ხასიათით მაგარ ადამიანებთან მეგობრობას დიდი და საკეთილო გავლენა აქვს კერძო ადამიანების ხასიათის შემუშავებაზე. ასეთი მეგობრობა გაამაგრებს ჩვენ განზრახვებს, აღამაღლებს და გააკეთილშობილებს ჩვენს მიზნებს და მოგვცემს შეძლებას მეტის ნიჭითა და ცოდნით გავაკეთოთ როვორც ჩვენი საკუთარი, ისე საზოგადო საქმეები.

კაცისათვის ისეთი ცუდი მეგობარი არავინ არის, როგორც მისი საკუთარი „მე“. განმარტოებით მცხოვრები კაცი არა თუ მარტო იმის უმეტარი ხდება, თუ რანაირად დაეხმაროს თავის მოყვასს, პირიქით იმასაც კი ველარ ხელება, რა საქმეში უფრო საჭიროა დახმარება. ახალგაზღა კაცის ცხოვრებას შეუძლია მიიღოს სრულებით სხვა მიმართულება მისი პატიოსანი მეგობრის აზრის, ანუ დროზე მისწოდებული რჩევა-დარიგებისა გამო. ახალგაზღობაში, სანამ კაცს ჯერ ხასიათი არ გამაგრებია, ასეთი თუ ისეთი მიმართულების მიღება იდვილია; მაგრამ რაც ბლომათ გავივლით ცხოვრების გზაზე, მით უფრო ჩვენი თვისებები მაგრდებიან ჩვენში და ჩვენ აღარაფერი არ გვაკვირვებს. სმაილის აზრით, სანამ ბუნება კაცისა რბილი და მოძრავია, ძლიერ სასარგებლოა წაქვეზება მისი დიდ-ბუნებოვანი, მაღალი ზნების კაცთა პატივისცემისადმი, რადგან თუ ახალგაზდები პატივს არ სცემენ და სამაგალითოდ არ მიიჩნევენ სათხოებიან კაცებს, მაშინ ისინი ძალაუნებურად პატივისცემას იყრძნობენ ბოროტი პირებისადმი და მათ მიიჩნევენ თავისთვის სამაგალითოდ. პატარა და არა დიდ-სულლვან კაცებს არაფერი არ აკვირვებსთ და მათი უბედურებაც იმაში მდგომარეობს, რომ არ შეუძლიათ შეგნება და უფრო კი დაფასება დიდთა საქმეთა და დიდ-ბუნებოვან კაცთა. მათი მოხიბლვა არაფერ კარგს არ

შეუძლია და ასეთი კაცუნებისაგან ეს არც გასაკვირია, რადგან გომბეშოსათვისაც უმაღლესი იდეალი სილამაზისა მისი გომბეშოსებური სილამაზე არის; მონებით მოვაჭრე კაცს აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად მსხვილ-ძარღვიანია იგი.

უველაზე საძაგელი კი ის პირები არიან, რომელიც უველას და ყოველი საქმის დროს შესცემურიან ზიზღითა და დაცინვით. ასეთი კაცები სხვის გამარჯვებაში კეთილ საქმეში, ხშირად ხდევნ რაღაც თავის დამცირებას, მათი პიროვნებისათვის დამდაბლებას. მათ არ შეუძლიათ დაშვიდებული გულით მოისმინონ სხვების ქება, განსაკუთრებით თუ ეს სხვები მათი ხელობის ან თანამდებობის არიან, ისინი უფრო მზად არიან აპატიონ კაცს მოოქერხებლობა, საქმეში დამარცხება, მაგრამ არასოდეს არ აპატივებენ საქმის უკეთ გაკეთებას, თუ მათ დაუკითხავად გააკეთეს იგი. ასეთ კაცებს დიდ ბედნიერებად მიაჩნიათ თავიანთ თავი, თუ ჭიდონი და მტკიცე ხასიათის მექონე პირები დროებით რამეში დაბრკოლდნენ, ან შეცდომაში ჩავარდნენ. „თუ რომ ჭიდონი კაცები მუდამ შეუმცდარნი დარჩნენ, ამბობს გერბერტი, სულელების საქმე ცუდად იქნებაო“. ეს კია, რომ თუმცა ჭიდონებს შეუძლიათ სულელებისაგან სწავლა-გამოცდილების შეძენა მათი შეცდომების მორიცებით, სამაგიეროდ სულელები ძლიერ ნაკლებად სარგებლობენ ჭიდონების მაგალითით. საბრალო და დაბალი ბუნებისაა ის კაცი, რომელიც მუდამ იმას ცდილობს, რომ დიდ საქმეში და დიდი ბუნების პატრიონში რაიმე ლაქა, რამე მიზეზი გამონახოს და ამით სურს თავის გამოჩენა.

მდ. ს. ჭუმბურიძე

ლიბ წერილი რაჭის მაზრის სამდგრელოების მიმართ.

სულიერნო შამანო და ქრისტეს შიერ საყვარელნო ძმანო! იყო დრო და არც დიდი ხანია მას აქეთ, რაც რაჭის სამრევლოებს უმეტეს ნაწილად უსწავლელნი, უდაბნოებში აღზრდილნი მამანი განაგებდენ. ძველი მამები მუყაითად ეკიდნენ საქმესა და შეძლებისა და ცოდნის გვარად, რიგიანადაც ასრულებდენ თავიანთ წმინდა საღმრთო მოვალეობასა. მათი ურთიერთ შორის სათნო, ძმუ-

რი სიყვარული, სამწყსოთა შორის მამა-შვილური განწყობილება, მათი სიმღაბლე, სიმშვიდე, მოთმინება და სხვა მრავალნი კეთილნი თვისებანი, დღესაც აღმოუფხვრელის ასევებით უწერია გულის ფიცარზე რაჭის მკვიდრთ და სასოებით იგონებს მათ. მას აქეთ, რაც ძველმა მამებმა ადგილი ახლებს დაუთმეს და მღვდელობის ასპარეზზე ჩვენში ახალგაზრდა სემინარიელებმა იწუქს მოღვაწეობა, ჩვენდა სამარტვინოდ, ხალხის რწმენამაც ფერი იცვალა. „წირვას, ლოცვას, აიაზმას, ნათვლას, გვირგვინის კურთხვეს, მიცვალებულის წესის აგებას და სხვა მღვდელ-მოქმედებას, ძველი მამებიც კარგად ასრულებდენ და მეტს არც ახალი—ნასწავლი მღვდელი რასმე გვიკეთებენათ“. გაიძახის სწავლა-მოძღვანებას მოკლებული სამწყსო რაჭისა და მართალიც არის. ჩვენი მდაბიო ხალხის სულიერ მოთხოვნის ლებას მარტო ლიტონი მღვდელ-მოქმედება ვერ იყმაყოილებს. მას სწყურია სულიერი საზრდო, იგი ითხოვს ჩვენგან სულისა და გულის დამატებობელ სწავლა-მოძღვრებასა და საკითხავებს. ამ შემთხვევაში ჩვენებურ განათლებულ სამღვდელოებას, სამწუხაროდ ხელს უშლის და იფერხებს რაღაც უხილავი ძალა, რომელსაც, თუ თქვენც დამეთანხმებით, სახელად ცოლნა გონების უვარჯიშობა უნდა ეწოდოს. „კაცად კაცადმან ვითარუა მიიღონ ნიჭი ეგრეთვე ურთიერთ არს ამსახურებდით მასაო“, ბრძანებს წმ. მოციქული პეტრ (ა. პეტრ. 4—10). მაგრამ, მოგეხსენებათ მამანო, რომ ნიჭისაც ნიჭი ჰქვია და ნიჭის ნახვარსაც. განუვითარებელი ცოლნა-ნიჭი მსგავსია მიწაში დაფლულის ტალანტისა, რომელსაც არ მოაქვს არავითარი სარგებელი. ამიტომ საჭიროა და ფრიად საჭირო განვავითარებდეთ ჩვენს ცოლნას სხვა-და-სხვა სასარგებლო წევნებისა და უურნალ-გაზეთების კითხვითა. ამგვარის საკითხავებით ჩვენ შევიძენთ საკმაო სწავლა-გამოცდილებას, რომელიც გაგვიადვილებს სიტყვა-მოძღვრების თქმას და დიდ დახმარებას გაგვიწვეს სამწყსოთა შორის საკითხავ წიგნაკების გავრცელებაში. დარწმუნებული ვარ, თუ ყველა არა, უმეტესი ნაწილი ჩვენი სამღვდელოებისა მაინც წაიკითხავდა წარსული წლის გაზეთ „მწყემსი“-ს მე-23—24 №-ში დაბაჭილს ჩვენი ძვირფასის და ჩვენთვის დიდად გულშემატკივარის, ყოვლად სამღვდელო იმერეთის გისკონპოსის ლეონიდის ყოვლად მშვენიერ გან-

კარგულებას. ამ განკარგულებით მათ მეუფებას სურს შემოიღოს თითოეულ მაზრაში სიტყვა-მოძღვრების თქმა, ზეობრივი და სარწმუნოებრივი საკითხავები და დაარსოს აგრეთვე სამღვდელოებისათვის წიგნთ-საცავები. პატივცემულო რაჭის სამღვდელოებაზ! რაკი ბედი კარს მოგვდგომია, მოდი ყველამ ვისტუმროთ იგი და გულ-უხევი მასპინძლობაც გაუწიოთ ძეირფას სტუმარსა. თუ გვინდა სამწყსოც მადლიერი დაგვირჩეს და არც სიმწრით შეძენილი სწავლა გაგვიქრეს ქაფურივით, ჩვენც აღფრთოვან ებულის სიხარულით მივეგებნეთ და ყოვლის ღონისებით ხელი შეუწყოთ ამა ჩვენთვის ფრიად სასარგებლო საქმის განხორციელებასა, რაშიდაც შევეცწიოს ღმერთი.

მამაო, ღმერთო, შეგვეწიე!
ძეო, მოგვიმართე ხელი!
სულო წმინდავ, მოგვაფინე,
უხევებით შენი ნათელი!

მღ. მიხეილ გავაშელიშვილი.



წმილი რედაქციისადმი.

პ. რედაქტორო!

ბეჭდვითი საშუალებით ნათქვამის გადამახინჯება და გადასხვაფერება, უკანონოდ მიმართა და ამიტომ უმორჩილესადა გთხოვ, ამ ჩემს მცირე შენიშვნას, ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს უურნალ „მწყემს“-შიდ.

ამა წლის „მწყემსი“-ს № 1—2-ში, იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრების მემატიანე გვაუწყებს: „დეპუტატმა, მ. არტემ ბოჭორიშვილმა განაცხადა, რომ მე მაგალითად, ვდგვარ ისეთ ადგილას, რომ სანამ ბლალოჩინთან მივიღოდე, ორჯელ ჩამოვალ ქუთაისშით. მათმა მეუფებამ ბრძანა, რომ ეს ნამეტანი გაზვიადებული მიზეზია. თქვენი ბინიდგან ბლალოჩინის სადგომამდე რაღაც თორმეტი ვერსი არის და ქუთაისამდის კი—60 ვერსით და როგორ მოვა კაცი ქუთაისში ორჯელო“. აი მე რა მოვახსენე მათ მეუფებას: „ბევრი მრევლი იმდენად დაშორებულია ადგილობრივ ბლალოჩინს, რომ სტაროსტას ქუთაისში ჩამოსვლა ურჩევნია, ბლალოჩინთან მისვლასა-თქო“ და მაგალითად ჩემი

მრევლი მოვიყვანე, საიდგანაც (ყველრეში) ბლალო-
ჩინის ბინამდე (ჯახუნდერი—სვანეთი) ორმოცდა-
შვიდი ვერსია, რომლის გავლას, გზის უვარგისძისა
გამო, სამოცი ვერსის გავლა სჯობს ქუთაისისაკენ
მომავალი გზა-ტკეცილით. აი ნაძღვილი ჩემი სიტ-
ყვები: „ჩემს სტაროსტას ბლალოჩინთან შესვლას,
ქუთაისში ჩამოსვლა ურჩევნია“—თქო და არა ის, რომ
„სანამ ბლალოჩინთან მივიღოდე, ორჯელ ჩამოვალ
ქუთაისშიო“. მიკვირს რამ აიძულა მ. „დამსწრე“,
რომ ასე გადაუსხვაფერებია სხვისი სიტყვები? *)

მღვ. არტემ ბოჭორიშვილი.

შურიალ-გაზეთიშიღან.

გაზეთ „კავკაზი“-ში დაბეჭდილია შემდეგი ოფი-
ციალური განცხადება:

კვირას, 23 თებერვალს, დილის ათს საათზედ,
გოლოვინის პროსპექტსა, სამხედრო ტაძრისა, მახ-
ლობელი ქუჩებისა და მოედნებისაკენ აუარებელი
ხალხი მოდიოდა. მომეტებული ნაწილი იყვნენ
ფაბრიკებისა და ამიერ კავკასიის რკინის გზის მუ-
შები, ბევრს მათგანს ხელში ეჭირა შინდის მსხვილი
და მძიმე ჯოხები.

გამზადებული პოლიცია ნებას არ აძლევდა
შეკრებისას ხალხს, მუშებს, რომელნიც სცდილობ-

*) ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს მამა არტემ ბოჭორიშვი-
ლის სიტყვები. ძლიერ კარგად მახსოვს ბოჭორიშვილის
სიტყვები, რომ სანამ ბლალოჩინთან მივიღოდეს (თავის თავ-
ზედ სთქვა, თუ სტაროსტაზე ერთია), ორჯერ ჩაგალ (თუ
ჩავა) ქუთაისშიო. თქმა ასე იყო და ეხლაც თითქმის ამასვე
იმეორებს. მაგრამ რამდენად მართალია ეს, ამის გადაწყვეტა
იმისთვის მიგვინდგია, ვინც დაახლოებით იცის მამა ბოჭო-
რიშვილის სტაროსტის დაშორების მანძილი ქუთაისსა და
ბლალოჩინზე. კარგი, ვსთქვათ, რომ ერთი სტაროსტა და
ეკლესია მთელს ეპარქიაში დაშორებულია ბლალოჩინზე.
განა ამით უნდა გადაწყდეს მთელი ეპარქიის—საზოგადო
კითხვა? განა სახეში უნდა იყოს მიღებული ისეთი საბლალო-
ჩინო, სადაც წელიწადში ერთი ფუთი სანთელი ძლიერ იყი-
დება! ამისთანა საბლალოჩინო სრულებით სახეში არც კია
მისაღები!.. ზოგიერთებს სწყინთ თავის ნათქვამის გამოქვეყ-
ნება და იმდრუებიან! ის არა სჯობს თქმის დროს დაუკვირ-
დეს თავის ნათქვამს?!

თავსმჯდომარედ მყოფი კრებისა დ. დ. ლამბაშიძე.

დნენ დიდ ჯგუფად შეკრებილიყვნენ და ამიტომ
მათ შეჯგუფება ვერ მოახერხეს უმთავრეს ქუჩაზედ.
მაინც 60—70 კაცმა მოინდომეს უთუოდ მოეხდი-
ნათ უწესოება; მათ დაინახეს ხალხი, რომელიც
მისდევდა მიცვალებულ მემამულის ფალავანდიშვი-
ლის გვამს. მიცვალებული პუშკინის ქუჩიდგან სო-
მეხთა ბაზრისაკენ წაასვენეს; შეგროვილმა 60—70
კაცმა სწრაფად გაიარეს ტერ-ასატუროვის ქარვას-
ლის გვერდათ და შეუერთდნენ ხალხს, თან მორ-
თეს „ურას“ ძაბილი. ერთმა მანიფესტანტმა ოთხჯერ
გაისროლა რევოლუცირი, დანარჩენებმა ცემა დაუწყეს,
ვინც მოხვდათ. ორი აფიცერი, რომელნიც მიცვა-
ლებულს მისდევდნენ, დაჭრილ იქმნენ რამდენგანმე,
უმთავრესად თავში, ერთს მათგანს ტანი გაუფაჭნა
ტყვიამ, რომელიც პალტოში გაჩერდა; მახლობელ
საავადმყოფოში შეუხვიეს მათ ჭრილობანი და ახლა
რჩებიან სამხედრო გოსპიტალში. სასიკეთოდ აფი-
ცერთა ჭრილობანი არ არის საშიშო. ადგილობრივ
მყოფმა პოლიციამ, ყაზახთა დახმარებით, რამდენსამე
წამს მთლად გაპტანტა მანიფესტანტები. ის რომე-
ლიც რევოლუცირს ისროდა, მიუხედავად იმისა, რომ
სხვები სცდილობდნენ მის განთავისუფლებას, დაჭვ-
რილ იქმნა სხვებთან ერთად, რომელთაც უწესოება
მოახდინეს.

* * *

სერბიის ერთ გაზეთში მოყვანილია ოსმალეთის
აზრი მაკედონიის რეფორმების გამო:

„რას ითხოვთ ჩვენგან? უკითხავს ოსმალელს;
თქვენ ითხოვთ, რომ მოგეცესთ თვისუფლება და
ის უფლებანი, რომლითაც განათლებულ ქვეყნის
შეილები სარგებლობენ? ჩვენ, ოსმალებმა, რომ ეს
მოთხოვნა აგისრულოთ, ხომ ჩვენისავე ხელით გა-
მოვიჰით ყელს! განათლებული და განვითარებული
სერბი თუ ბოლგარელი თავის დღეში არ გახდება
ოსმალელი პატრიოტი; იგი მუდამ იმის ცდაში იქ-
ნება შეუერთდეს თავის განთავისუფლებულ თანა-
მოძმეთ... რაღა მოუვა ოსმალეთს, თუ ეხლა გამაჟ-
მაღიანებულ სლავებ შორისაც გაიღვიძებს ეროვ-
ნული გრძნობა? მათმაღიანობა და ოსმალეთი სინო-
ნიმებია; უერთმანეთოდ არსებობა მათ არ შეუძლია-
თ ეკრიპაში. წმინდა ოსმალური ელემენტი ეხლა



აღარ არის—იგი მე-XV-ე საუკუნეში გაცქრა და რომ გამაჰმადიანებული ქრისტიანები არა, ევროპაში კვალიც აღარ იქნებოდა ოსმალეთისა. ეხლანდელი ოსმალეთი შექმნეს არა სისხლით ერთმა ოსმალებმა, არამედ მაჰმადიანებმა, რომელთაც სარწმუნოება აერთობთ... ამიტომაც არის, რომ ჩვენი არსებობა ევროპის ოსმალეთში მხოლოდ მანამდეა შესაძლებელი, სანამ სარწმუნოება გვაერთობს და სანამ ეს სარწმუნოება ჩვენი ეროვნობის გამომხატველი დარჩება. როცა გამაჰმადიანებულ სერბსა ან ბოლგარებში გაიღვიძებს ეროვნული გრძნობა, ოსმალეთი დაიღუპება. ამიტომაც არის, რომ ჩვენ არასოდეს არ დაესთანხმდებით ხალხის განვითარებასა და მის ეროვნულ გათვითუნობიერებას. ეს ხომ ჩვენი სიკვდილი იქნება! როგორ იქცევა ავსტრია ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, თუმცა ავსტრიას თავი მოაქვს განათლებულ და დაწინაურებულ სახელმწიფოდ. განა ამ სახელმწიფოს მთავრობაც ამ გვარ პოლიტიკას არ მისდევს? იგი უმტკიცებს ხალხს, რომ სარწმუნოება ეროვნებაა, რადგან ეშინია, რომ გამაჰმადიანებული და ქრისტიანი სერბები არ შეერთდნენ! იგი დალატობს სიმართლეს და სცდილობს დაამტკიცოს, რომ ბოსნიელი, ე. ი. სერბი, სერბი არ არის. ჩვენ, ოსმალები, არასოდეს არ ვუკრძალავთ ქრისტიან სერბს თავის თაქს სერბი უწოდოს, და რაც შეეხება გამაჰმადიანებულებს, საბედნიეროდ, ამათ უდიდეს შეურაცხოფად მიაჩნიათ, ვინმე რომ გაოსმალებული სერბი უწოდოს.

არა, არავითარი რეფორმა არ უნდა შემოიღონ მაკედონიაში, პირიქით, აუცილებელი საჭიროებაა, რომ გდევნონ და დაგამტკირონ, რომ მთავრობის მორჩილი გახდეთ. რეფორმების შემოლება ჩვენი ინტერესის წინააღმდეგია”.

* *

გაზ. „Berl Tageb.“-ი თანამშრომელს, გრაფ ლ. ტოლსტოის პირველ წერილის გამო, ტოსკანის პრინცესა ლუიზას შესახებ, მიუმართავს ავტორისათვის წერილით, რომელშიაც თავის გაკვირვებას აცხადებს, — თუმცა გრაფ ტოლსტოის თავისს პირველ წერილში სახარების სიტყვები მოჰყავს: „ნუ განკიათხავთ, რამეთუ არა განვიკითხონ თქვენა“-ო, მაგრამ მაინც სასტიკი მსჯავრი დასდო პრინცესა ლუიზას და საზოგადოდ ისეთი აზრი გამოსთქვა, რომელიც ეწინააღმდეგება მისს მოძღვრებასათ” (გა-

ვისსენოთ, რომ ტოლსტოის პირველი წერილი პასუხი იყო ერთ ამერიკელ უურნალისტის მიმართ, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა, — პრინცესსა ლუიზასა და უირონის საქციელზედ დიდი გავლენა ჰქონდა გრაფ ლევ ნ. ტოლსტოის მოძღვრებასათ).

გრაფ ტოლსტოიმ აი, რა პასუხი მისცა გაზ. „Berl Tageb.“-ის თანამშრომელს:

„მივიღე თქვენი წერილი და ვგონებ, რომ სრულიად მართალი ხართ.

ჩემი პირველი წერილის ისტორია ასე იყო. ვიღაც ბ. მორისონმა მომწერა, — გავიგე, რომ თქვენს თხელებებს დიდი გავლენა ჰქონია პრინცესსა ლუიზაზედათ და მეკითხებოდა, — რა აზრისა ბრძანდებით მის საქციელის შესახებათ. პასუხი დასწერა ჩემმა ქალმა, რომელსაც მე ვუკარნახ, რადგან შეუძლოდ ვიყავი; განზრახვა მქონდა შემძეგ გადამეტვალიერებინა ჩემი პასუხი და ისე გამეგზავნა; მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე დილით რომ მოვიკითხე, მითხრეს — წერილი უკვე გავგზავნეთო.

რადგან თვით მე არ ვიყავი კმაყოფილი ამ წერილის შინაარსით (რომელიც ბ-ნ მორისონს გაუგზავნება), ვინაიდგან მეტად მკვახედ იყო დაწერილი და, მაშასადამე, არ ეთანხმდებოდა სახარების მცნებასა, მე (თუმცა არ მოველოდი, რომ ჩემი პასუხი გამოქვეყნებული იქმნებოდა) მაინც შემძეგი წერილი მიესწერე მას:

„ძალიანა მწყინს, რომ ისეთი წერილი მოგწერთ, რომელშიაც ჩემი აზრი გამოვსთქვი ტოსკანის პრინცესსა ლუიზას საქციელის შესახებ. მე არავითარი ზნეობრივი უფლება არა მაქვს ამისა და, როგორც კაცი, რომელსაც განუზრახავს ქრისტეს მაგალითისამებრ ცხოვრება, არ უნდა ჩამედინა ასეთი საქმე“.

გარდა ამისა, იმავე დღესვე მიესწერე ერთს ჩემ მეგობარს ინგლისს და ესთონევე, — იმ შემთხვევაში, თუ ჩემი წერილი მორისონის მიმართ გამოქვეყნებულ იქმნას, ინგლისურ გაზეთებში მოათავს ჩემი მწუხარება იმ წერილის შინაარსის გამო თქო.

გმადლობთ წერილისათვის და, კიდევ გიმეორებთ, მე, როგორც აღამიანი, რომელსაც განუზრახავს ცხოვრება ქრისტეს მცნებისამებრ, ვგრძნობ, რომ ნება არა მქონდა ჩამექოლა საბრალო მანდილოსანი, და დიდათა ვსწუხვარ ჩემის მკაცრი წერილისა, რომელიც არ ეთანხმება სახარების მოძღვრებას.



მომინდვია თქვენთვის, როგორც გენებოთ, ისე გამოიყენეთ ეს ჩემი წერილი".

სალისნი გრაფ ტოლსტოის გულისთვის, დიდის ინტერესით კითხულობენ ამ ბოლო ღროს მის ნაწერებსა და ნათქვამს, არა იმიტომ, რომ ეს ნაწერები და ნათქვამი მართლა ისე შესანიშნავი იყვნენ; არა, იმიტომ, რომ გრაფ ტოლსტოი სწერს და ამბობს ამას. აიღოთ თუ გინდ ეს წერილი კრონ პრინცესა ლუიზას შესახებ. ამ წერილით მკითხველს უმტკიცებს გრაფ ტოლსტოი, რომ იგი პირველი მიმღევარი არის ქრისტეს სახარებისა. სწორედ ახირებულად სჯის გრაფ ტოლსტოი ამ უკანასკნელ ღროს. სახარების უარს ყოფს, მაგრამ ხან-და-ხან თავის აზრის და შეხედულების დასამტკიციტლად, სახარების სიტყვები მოყავს!

* *

ახალი საშუალება უსინათლობის წინააღმდეგ.

ბოლო ღროს კვლავ დაიწყეს ლაპარაკი უსინათლობის წინააღმდეგ საშუალების შესახებ. პროფესორმა პეტერ სტიენსმა გამოიგონა მანქანა, რომლის საშუალებით შეუძლიათ მხედველობა დაიბრუნონ არამც თუ იმათ, ვისაც თვალის სინათლე წაერთვათ, არამედ საგნების დანახვა შეეძლებათ იმათაც, ვინც დაბადებითვე უსინათლონი ყოფილან. როგორც მოვეხსენებათ, თვალები იმ სამსახურს გვიწვენ, რომ ამა თუ იმ სურათს, ოპტიურ (მხედველობის) ნერვების საშუალებით აღბეჭდავენ ტვინში, სადაც, სხვათა შორის, მხედველობის უჯრაა მოთავსებული. თუ კი სურათი რამე შეიძლება თვალების დაუხმარებლად აღბეჭდოთ ტვინში, ბრმას რაღა დაუშლის ამნაირადვე დაინახოს ღვთის გაჩნილი ქვეყანა, როგორც ყველა თვალხილულმა.

პროფესორ სტიენსის მანქანა იმ კანონზეა დამყარებული, რა კანონზედაც ტელეფონია დამყარებული, და მისი დანიშნულებაც ის გახლავთ, რომ გადასცეს სინათლე, როგორც ტელეფონის დანიშნულება—ხმის გადაცემა.

ექიმს კაზს თვითონ თავის თავზე უცდია ამ საკვირველ მანქანის თვისება. ეს ექიმი შეუყვანიათ სრულიად დაბნელებულ ოთახში და ორივ თვალი მაგრად აუხვევიათ, ასე რომ სინათლე შიგ ვერას გზით ვერ გაატანდა, მხოლოდ ის გაუგონია, როგორ მოუკიდა პროფესორმა სტიენსმა ლაპარს, მაგრამ სინათლე კი არ უნახავს. პროფესორს მან-

ქანა ექიმის საფეხქლებთან რომ მიუტანია, ჯერ ოდნავი სინათლე უგრძვნია, მერე ეს სინათლე თან-და-თან გაძლიერებულა; მოკლე ხანში ექიმს შეეძლო თურმე დაეთვალა პროფესორის თითები, ოთახში დადგმული სკამები.

საექიმო მეცნიერების რამდენმამე წარმომადგენლმა სუადა ეს მანქანა და ყველამ მოიწონა. დაწვრილებითი ცნობები ამ მანქანის შესახებ ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ, იმედია, ეს დიადი აღმოჩენა არ დაიხანებს მოკლეს ხანში ნუგეში სცეს მრავალთავან მრავალ უსინათლოს, დაკარგული თვალთა-ხილვა დაუბრუნოს, და ამ რიგად სამარადისო სალოცავად გახდეს ზემოაღნიშნულ მანქანის გამომგონის სახელი.

ახალი აშები და შენიშვნები.

* * მოსკოვის საისტორია შეზეუში შროფ. თბერი თვემა საინტერესო დექტია წაკითხა შემდეგის სათაურით: „ამერიკაში გამოიდაშექა ევროპის წინააღმდეგ“.

ეს გამოიდაშექება, შროფებულ შტატების შესანიშნავი სამრეწველო განვითარებაა. 1800 წ. შეერთებულ შტატებში 5,308,000 მცხოვრები ითვლებოდა, 1900 წ. კი 75,620,000, ესე იგი ერთი საუკუნის განმავლობაში მცხოვრებთა რაცხვმა ერთი თხეთმეტად იმატა; მნავალი ხალხი გადასახლდა შეერთებულ შტატებში. ინგლისში-კი ამ დროს განმავლობაში მცხოვრებთა რაცხვი 15,345,000-დნ შეთლდ 41,605,000-მდე ავიდა, გრეთმანაში კი, 24,833,000-დან 56,356,000-მდე. არც ერთ ქვეყანაში არა იმდენი რკინის გზები, რამდენიც შეერთებულ შტატებშია. იქ გაუგანილი ტელეგრაფის შემთხვევა სიგრძით მთელ ქვეყნის ტელეგრაფის მართულების მესამედს წარმოადგენენ. მთელის ქვეყნის შერის მთხავლის მესამედი შეერთებულ შტატებში მოდის. ქვა-ხახშირთა და სხვა-და-სხვა მაღნეულობით, შეერთებული შტატები ინგლისზე უფრო მდიდარია. ამერიკელები სხვა ხალხზე უკეთესად იკვებებიან.

უმთავრესი მიზეზი შეერთებულ შტატების ასეთის წმინდაზის განვითარებისა სახალხო განათლებაა. რესეტში ათას მცხოვრებლებზე 21 კაცი იძენს დაბალ და საშუალო განათლებას, შეერთებულ შტატებში-კი 230 კაცი;



უმაღლეს განათლებაზე არც ერთი სახელმწიფო არ ხარჯავს იმდენს, რამდენსაც შეერთებულ შტატებია. უკეთა-
ზე მეტი ურნალ-გაზეთები შეერთებულ შტატებში გა-
მოდის.

* * * ყირიმის თათრები სტატებები საშინაოდ და
მრავლად მიდინ ასმალეთში. აქმდის მხოლოდ უმიწა-
წელო დარიბი ბარის თათრები მიდიოდნენ, უფრო შეძ-
ლებული მთიელები ადგილიდან არ იძროდნენ. ამ ბო-
ლო სანებში-კი იქ ხმა გაერცელდა, მაგედნიაში არეუ-
ლობა, რუსთი ასმალეთთან სამორად ემზადებათ, ამი-
ტომ მრავალი ყარიმელი თათრები მოწადინებულია არან
გადასახლდნენ ასმალეთში და ძალიან იაფად ჭეიდიან
თავიათი მოძრავ და უძრავ ქონებას.

* * * უგანათლებულეს გნეინას გ. გ. გრუზინსკისას განუზრახავს ჰეტერობურგ ში წმ. ნინოს სახელობაზე ეპ-
კლენის აგება. გნეინას უპერ შიულია ღოლგა-კურთხევა
მიტროზიანისაგან და უსდგომია ფულის შეკრებას.
შიდა რუსთში ეს შირველი ეპლესია იქმნება წმ. ნინის
სახელობაზე.

* * * დონის სახიერვის სომეხთა სემინარიის მდი-
ვანს ი. ბოგდანოვს შეამდგომლობა ალექსანდ ნება და-
კრთოს ამ ქალაქში გამოსცეს ეფევლ-დღიური გაზეთი
სომხეთ ენაზე.

* * * როგორც გავიგეთ, ვ. ა. სტარისელსკი ქეთა-
ისის ბებერნიის თავი-დაზნაურთა მომავალ კრებისათვის
მზადებს თურმე მოსსენებას, ქუთაისის გუბერნიაში საე-
რთოდ დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

* * * გაგრაში ამას წინეთ აკურთხეს აღდენბურგის
შრინცისაგან განასხლებული ქედი ეპლესია განგრის
შლედე-მოწამის იმატის სახელზე. ეს მღვდელ-მთავარი
ქართველი იუ და ერთ მსთვლით გრებას დასწრო.
ძლიერ სასიამოვნოა, რომ მათ უმაღლესობას ისე მშევ-
ნიერად განუსახლება ეს ეპლესია, რომ სიძევლია სასი-
ათი სრულებით შეცვლილი არ არის. ჩვენს რუსულ გა-
მოცემში იუ უფეხლი ცნობანი, რაც კი არსებობს დღეს
ამ ქედი ეპლესის შესახებ.

* * * კოსტრომის ქარქიის საეპლესით უწევება
შირველ ხომერში ეხება იქაურ სამდველელობის მდგრამა-
რების და დაზად სწესს, რომ სამდველელობის არა აქვს
სასურველი დამოკიდებულება და გავშირ მრელთან და
სამწესოსთან. მთისსენებს სამწესართ ამავეს და მწვალებ-
ლობის გავრცელებას ვიდაც გლეხის ივან არტამონის ძის
შოთამორენისაგან. ამ გლეხს დეკანზი ითანებ კრან-
შტატელი ღმერთად გამოუცხადება და სხვა ბევრი მიმ-

დევარიც აღმოჩენია. უკრნალში მოთხოვდილია, თუ
როგორ მოვიდა თვით ითანებ კრონშტატელი და შეძ-
ლებ მისი ფიცხელი მხალებისა, როგორ მოისანია ში-
ნონმარეგმა და უარ ჰქონ ეს მწვალებლობა. სტატიის აუ-
ტორის ეჭვი აქვს, რომ შინომარევის მონაწება გულ-
წრიფელი იყო და შიშის, რომ ამ გლეხმა კიდევ არ
გააგრცელოს ეს მწვალებლობა...

* * * ვინაიდგან წარსულ წელს ხოლერა იუ სათათ-
რეთში, ამიტომ მღლელების რიცხვი ძლიერ ცოტა
უფიცილა იერუსალიმის ტაძარში და სხვა ახლო-მახლი
აღთქმის შეკრენის ეპლესიებში და უდაბნოებში. ამისა
გამო ძლიერ შევიწროებული ეფთილა ფულის მსრივ
იერუსალიმის ჰატრიასი ნეტარი დაშიანე. ამიტომ ეს
ჰატრიასი კრონსტატის მდპანისებრში მობრძანების და შეკრენის
გამო ძლიერ შევიწროებას შეკრებას, რომ ამ საშუალებით დაე-
ხმაროს იერუსალიმის მონასტრების მცხოვრებთა. ამისა-
თვის მოწოდება გავზავნილი შეფლს საბერძნებიში და
ითხოვენ დახმარებას...

* * * ბევრი იუიქრეს, ბევრი საფეს, რომ დღოთია
მფესპოთ საფსში. ბოლოს მთიულქეს დგინდო გაჭრ-
ბის მონიშტლია—დვინის უიდა დაწულ მართებლობაშ. წინეთ რომ მრავალი სასმელების დუქნები და სამიკარ-
ნოები იუ ძლიერ შეტრინდა, მაგრამ, როგორც გაზე-
თები გგატებინებს, სათრობი სასმელები კი მეტი იხარ-
ჯება თურმე!.. გვონებ, ბევრი არც ესრედ წოდებულ
სიფიზზლის საზოგადოებას კადუჩევევა დღოთიას. შარ-
თაფია, ღრღებითად გადახევებიან ზოგიერთები დღოთი-
ბას, მაგრამ სულ არა. საჭიროა სხვა რამ ზომის კამ-
გონება და ამისთანა ზომები კი ბევრია...

* * * ჰეტერობურგიან იუწევებან, რომ გზათა სა-
მინისტრის განუხილავს განკარგულება, რომლითაც ქი-
რუგი ს. ვ. ვონიო სამსახურიდებან დათხოვნილი იუ
და, როგორც უსაფუძვლო, გაუუქმება. ვონიო სამსა-
ხურები დაუტოვებიათ და სამინისტრის ჰეტერობურგში
მიუცია მისთვის ადგილი.

* * * მომავალ აპრილს ქალ. რომში დანიშნულია
მეურნეთა საერთა-შორისო კრინგესი; გავგასის საბადოს-
ნო-სამეურნეო საზოგადოებას თავის წარმომადგენელად
კრიკეტზედ დაუნიშნავს აკრონიში სკემები.

* * * „ეპლიაშე ცაიტუნბ“-ი იუწევება ბერებითიდგან,
რომ ბერძნების ბერძნის საქმე, რომელთაც ქრისტეს
საფლავის მეპლესიასთან კათოლიკებთა ბერძნს თავს და-
ცნებ და რამდენიმე დასჭრეს, მეორე ინსტანციაში გა-
დასწევდა არა სასარგებლობ დამნაშავეთა.



* * ეროვნა განათლებულის ქართველის, რომელიც
ამ დღეებში ჩამოყალიბდა ჰეტეროგრანდგან, გვიაშბო, რომ
დაიდის ერთადღებით მიუდიათ იქ უმთავრესი აზრი „C. -Hetero. B.N.D.“-ში დაბეჭდილის წერილის სამეცნიელოს
სკოლებში ქართული ენის სწავლების საჭიროების შესახებ. ჰეტეროგრანში სამართლიანობად უცვინათ ამ წერილის
უმთავრესი აზრი, რასაც მიტკაცებს სხვათა შორის, ის
გარემოება, რომ თვით „Nov. Br.“-ს მოვლანილი აქვს
ამ წერილის ზოგიერთი ადგილი და აშბოს, რომ წერილის აგრძელის აზრი სამართლიანობა („ივერია“).

* * განვეობი იუწებიან, რომ ოლქის სასამართლომ შეისავა კანსტანტინეს, რომელმაც მოიპარა ბრძანისტები წმ. ისააკის ტაძრიდგან, ჩამოყოლფას უოველივე გვივება და გაიგზავნოს 6 წლით გატორლაში.

* * მარტია 9, კვირა საღამოს, ქაშვეთის წმ.
გიორგის ეკაკლესიაში მწუხრი ილოცა ყოვლად
უსამღვდელაესმა დამიტრი ალეკსანდელმა. მწუხრზე
გალობდა ბ-ნ მონადირიშვილის მგალობელ ქალ-
ვაჟთა გუნდი, რომელმაც სხვა საგალობელთა შო-
რის, ჩინებულია იგალობა ჩეცნი ნიჭიერის კომ-
პოზიტორის ანდრია ყარაშვილის ოთხ ხმად შეწ-
ყობილი „ჯვარსა შენსა თაყვანსა ვსცემთ“ და „შენ
ხარ ვენახი“. პირველი და მეორე ხმა თრთავ საგა-
ლობლისა შეუცვლელად არის დატოვებული და
ხმა-შეწყობილება, ანუ პარმონიზაცია იმდენად მდი-
დარი და სამურაი აქვთ, რომ უნებლიერ იპყრო-
ბენ ადამიანის ყურადღებას. ვისურვებთ ბ-ნ ანდრია
ყარაშვილის მეცალინება ქართული გალობის გა-
საუმჯობესებლად ამით არ დაბოლოებულიყოს.

მწუხარის დასასრულ მამა სიმონ ჯავანიძემ
მდაბიურად და მარჯვედ განუმარტა მრავლად შეკ-
რებილ მლოცველებს „მეათე მცნების“ ძალი და
მნიშვნელობა. ქართული ქადაგება და სასულიერო
მჭევრმეტყველება რომ აღორძინდეს და ღვთის
სიტყვას, საჯაროდ საქადაგებელს, მადლი და შნო
დაპყვეს, ყოვლის უწინარეს საჭიროა, ბეჭითად
შეისწავლონ ქართული საღმრთო წერილი, ქართუ-
ლი ღვთის მეტყველება, რომლის სიმღიდრეს მტე-
რიც კი ღამოწმებს, ქართველნი მეადაგებელნი
ამბროსი ნეკრესელი, ანტონი ჭყანდიდელი, გაბ-
რიელ ქუთათელი და სხვანი, განსაკუთრებით ხერხი
და ღონე სიტყვის განმარტებისა, რომელიც სჩვე-
ვია ანტონ ჭყანდიდელსა. („ივერია“)

სწავლა და მეცნიერება ქრისტია-
ნულით სასწავლოებას და კეთილ-
ზე ერთა ზე.

ə ɔ ə d ɜ 3 6 ə ə ɔ.

ଓঁ প্ৰিয়ে কৃষ্ণে দাস কৃষ্ণে জীবক কৃষ্ণে গুলুবদলীস মুক্তিৰ বেতন
ৰিন, পি. দাশীল অমৃতশঙ্খপদ্মীস ধূমৈ।

სახელითა მამისათა, და ძისათა, და
წმიდისა სულისათა.

ჩვენ შევასრულეთ, ძვირფასნო ყრმანო, საღმრ-
თო წირვა და სავედრებელი პარაკლისი სახესენებ-
ლად და საღიღებლად წ. დავით ოღმაშენებელისა.
უკეცველია, გაგონილი გექნებათ თქვენი აღმზრდე-
ლებისაგან და გეცოდინებათ, რომ ხსენებული
წმიდა იყო მეფე საქართველოსი. იგი სცხოვრობდა
შორეულ ღროს,—რვაასი წლით უწინარეს ჩვენსა.
აღვილი და სასუბუქო როდია, სულიერო შვილე-
ბო, საესებით, ცხოველად და ნათლად გათვალის-
წინება იმ სატირალი მდგომარეობისა, იმ განად-
გურებისა და მიწასთან გასწორებისა, რომელშიაც
იმყოფებოდა ჩვენი სამშობლო დავით ოღმაშენებე-
ლის ტახტზედ ასვლის ღროს.

ეხლა სულ პატარა ბავშვებსაც გაგონილი აქვთ
თურქების სახელი და ბევრმა თქვენგანმა იცის, რა
თვისების ხალხია იგი. ასე არ იყო ძველად, დაუით
აღმაშენებელის წინათ ნაკლებად იცნობდა ვინმე
თურქებს, ისინი მხოლოდ მაშინ გამოჩნდენ ისტო-
რიაში და თავიანთი ვერაგობით, გაუკითხაობით
და გარბაროსობით შიშისა და ძრწოლის ზარსა
ჰსცემდენ ყველას. მათ დაიპყრეს საქართველოს
მეზობელი სახელმწიფონი, სისწრაფით უახლოვდე-
ბოდენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და, ბოლოს, და-
ვით აღმაშენებელის მამის დროს საშინელი გრი-
გალივით გადუარეს მას, გალეჭეს და ამოაგდეს



ძირითად უკულაფერი, რაც კი რამ შეხვდათ გზა-
ზე, დაწვეს, დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს
სოფლები და ქალაქები, ამოაგდეს, გაატიალეს და
მოლად გაგალეს ყანები და მინდვრები, გაჩეხეს და
განადგურეს ვენახები, გაულიტეს და მუსრი გაავ-
ლეს მცხოვრებლებს, რომლებმაც ვერ მოასწორეს
შორეულ მთებში გახიზვნა, ან შეუვალ ციხე-კოშ-
კებში ჩაკეტვა. აღვილად წარმოიდგენთ, რა ძნელი
მოსანელებელი იქნებოდა ამ გახიზნულების მდგო-
მარეობა, რა გაუნელებელ ცეცხლს უნდა ეტრი-
ალი მუდამ დღე მათ გულში იმ აზრის წარმოდ-
გენაზედ, რომ იქ, ბარშა, მტერი ანგრევდა, იკლებ-
და და შეურაცხებას იყენებდა მათ სალოცავებს,
რომ ბინძური ხელი ურწმუნოსი ჰბლალავდა მამა-
პაპათა სამარეს და მათ კუბოს ფიცარს. ცრემლი,
—ეს გულის საკირის გამანელებელი ცვარი, —
ესეც კი ამოეშრიტა და დაეკარვა მათ. ტანჯული
ხელების ზე აპკურობა და გულით, სიტყვების წარ-
მოუთქმელად, მხურვალე ვედრება ღურისა, რომ
მოხედოს განწირულთა, —აი რალა დარჩენოდათ ამ
საცოდავებს სალსრად და რა მიაჩნდათ ერთად-ერთ
ფარ-ხმალად ამ საშინელ გაჭირვებაში!

მაგრამ მოიგონეთ, საყვარელნო, რომ ღმერ-
თმა არ იცის მის მავედრებელთა სრულებით გა-
წირვა და სამუდამოდ დავიწყება. გაიხსენეთ, რამ-
დენჯერ ყოფილან ამგვარსავე გაჭირვებაში, ამის-
თანა განსაცდელში ებრაელები და, როდესაც გუ-
ლით შევედრებიან უფალს, ლაუყოვნებლივ მოვ-
ლინებით მისგან მტრის შემმუსტველნი მძლავრნი,
გონიერნი და სიმართლით აღვისილნი კაცნი. ასევე
შეიბრალა და შეიწყალა ყოვლად მოწყალე უფალ-
შა განწირულებაში მყოფი ქართველები და თურქ-
თაგან ანუ ძველებურად სარკინზთაგან*) გამომხსნე-
ლად აღუდგინა მათ ღვთის მმოსავი, აღვისილი
სიმძლავრით და აღჭურვილი ნათელ-მოსილი გო-
ნებით მეფე დავითი.

მე არ შეგაწუხებთ და არ დაგილლით ყურად-
ღებას ამ მეფის ცხოვრების დაწვრილებითი აღწე-
რით. აღნიშნავ მოკლედ, რომ ტახტზე ასვლისავე

*) დავითის ტრაპარში სარკინზთა მაგივრად შეცდო-
მით დაბეჭდილია „სარკეთა“ და ჩვენი საბრალო მედავითნე-
ნიც ასე კოთხულობენ, თთქოს ჩვენი სახის მაჩვენებელი იარა-
ლი დაემტკრიოს წ. დავითის და ეს ეთვლებოდეს მას სახსენ-
ხელ საქმედ და გმირობად!

უმაღ მეფემ მიმართა გახიზნულ ხალხს გულითადი
თხოვნით და მამობრივი ხვეწნით, რომ გამოსული-
ყო სამალავებიდან, დაპირულებოდა თავის გაცივე-
ბულ კერას, ხელი მოეკიდა მტრისგან განადგურე-
ბული მამულისათვის და ღვთის სახელის ხსენებით
შესდგომიდა ვაჟ-კაცურ ცხოვრებას. გმირული ხმა
მეფისა ღრმად ჩასწედა ხალხის გულს, გაუღვიძია
მას მხერით, შთაპერა გულადობა და ხალხმაც
ნელ-ნელა იწყო მთა-ლრედან გამოსვლა, გახიზ-
ნულები დაუბრუნდენ გაოხრებულ ოჯახებს, ხელი
მოკიდეს კვლავ გუთანს და შრომა-მხენეობის მოძ-
რაბა-ხმაურობით გამოაღვიძეს უდაბნოდ ქცეული
მიდამო. ღმერთმა ხელი მოუმართა მეფეს და
ჩქარა სრულებით გააძევა თავის სამფლობელოდან
სარკინზნი, ამის შემდეგ ალაგმა და დაამშვიდა
შინაური მტრები, შემოიერთა ქართლი, კახეთი,
იმერეთი და აფხაზეთი, განსდევნა და განკვეთა
თანამდებობიდან ულირსნი მღვდელთ-მთავარნი და
ხუცესნი, განაახლა, განამშვენა და ალადგინა დან-
გრეული ტაძრები, აღაშენა იმისთანა დიდებულნი
ძეგლნი, როგორიც არის გელათის ტაძრი, დაარსა
შეკლესიებთან დაბალი, საშუალო და მაღალი სას-
წავლებელნი, მოიწვია ყოველი მხრიდან სწავლულ-
ნი და ბრძენნი ხალხში მეცნიერების მოსაფენად,
ალაგო სიმრავლით გლახავთათვის სასტუმრონი და
საავადმყოფონი, ერთი სიტყვით, განაძლიერა, აღა-
მალლა, ალაყვავა და იმ გვარად დააყენა სამეფო
ამ ღვთის ცხონებულმა მეფემ, რომ თვითეული
ქართველი უშიშრად და ლალად განისვენებდა „ქვე-
შე ვენახსა თვისსა და ქვეშე კერძო ლეღვისა თვი-
სისა“.

აი რის გამო უწოდა დავითს მაღრიელმა ჩა-
მომავლობამ აღმაშენებელი! აი რის გულისთვის
შერაცხა იგი დავალებულმა ეკკლესიამ წმიდათა
შორის! ან კი როგორ შეიძლებოდა არ აღეარე-
ბინათ სიცოცხლეშივე წმიდად ის, რომლის სიცოც-
ხლესაც ყველასთვის ცხადად და მისახვედრად ინა-
ხავდა მარჯვენე ღვთისა. ერთხელ მტრებმა შიგ
გულში სტყორცნეს დავითს ისარი, მაგრამ არ
გასწირა უფალმა სათნა თვისი და არა ევნო
რა მას, რადგანაც ისარი მოხვდა მაცხოვრის აქ-
როს ხატს, რომელსაც დავითი არას დროს არ
იშორებდა მკერდიდან. ერთხელ კიდევ წ. მეფე
გაღმოვარდა გელათის ტაძრის მაღალი კედლიდან

და კაცობრივი ანგარიშის მიხედვით რომ მტკრად უნდა ქცეულიყო, თითქმის არც კი რამ უტკენია...

სახელი და საუკუნო პატივიშით, ვინც თქვენ სასწავლებელთან დააწესეს ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი ძმობა ამ ღ. მეფის სახელობაზედ და მით დიდებული სახელი მეფე აღმაშენებლისა უფრო დაუვიწყარი და განუშორებელი გახადეს თქვენი გონება-გულისათვის. იცოდეთ, მეგობრებო, რომ თქვენ დაკავშირებულნი ხართ წ. დავით აღმაშენებელთან იმ მეცნიერების მხრით, რომელსაც იძენთ ამ სასწავლებელში, თქვენ გაახლოვებთ დავითის წმინდა სულთან შესწავლა და შეთვისება ღვთის სიტყვისა, რომლითაც იწვრთიდა ხსენებული წმინდა გონებას ყოველ მარჯვე წამს და რომელ სწავლასაც ჰქონდება ყოველ სწავლაზე უძვირფასესად. მის ხელს არ შორდებოდა საღმრთო წერილის წიგნი, თუ კი მოცლილი იყო სამეფო საქმეებისა-გან. მისი ცხოვრება იღნიშნავს, რომ ერთი წლის განმავლობაში დავითს წაუკითხავს სამოციქულო ოკუდა-ოთხეერ. „ესოდენ შეიყვარა (დავითმა) და შეითვისნა საღმრთო წერილის წიგნებით, ვკითხულობთ ამავე ცხოვრებაში, რომელ ჰქონდება თუ მათ შინა ცხოველ არს და მათ შინა იძერის. იგინი იყვნეს მისსა საზრდელ ყოველთა გემოვან და სასმელ ტკბილ და საწადელ, იგინი შვება და განცხრომა, საწვრთელ და სარგებელ დღე და ღამე“... წიგნების კითხვას ვერ სთმობდა მოგზაურობისა და ნადირობის დროსაც კი, წიგნებს იმძღვანიებდა წინ აქლემებით და ჯორებით ლაშქრობისათვის გამოწყობის დროს! აჲა, თქვენთვის აღმაფრთვანებელი, გამამხნევებელი და ბეჯითობის შემძენი ღიდებული მაგალითი. იქონიეთ იგი განუშორებელ მნათობად გონებრივი თვალის მხედველობის წინ, შეიყვარეთ ეკალესიური განათლება, გულით შეითვისეთ ღვთის სიტყვა, შრომა-მეცადინეობაში ხედავდეთ ბედნიერება-სიამოვნებას, უფრთხოდეთ, როგორც სენს, სიზარმაცეს, ბეჯითად იკითხეთ სასარგებლო წიგნები და გწამდეთ, რომ ამითი დაიმსახურებთ წ. დავითის მფარველობას.

წმიდაო კეთილ-მსახურო მეფეო დავით! მოხედე მოსიყვარულე გულით სულიერთა ძეთა ამათ შენთა და შენი მხურვალე მეოხებით წინაშე ღვთისა გამოუთხოვე მათ მამისაგან ნათლისა სული სიბრძნისა და გულის ხმის ყოფისა, სული მეცნიერებისა და ღვთის მსახურებისა, სული შიშისა ღვთისა. ამინ!

ეპისკოპოსი ღეთნიდი.

მოკლე მოძღვრება მრევლის მღვდლისა ეკალე-სის წმ. სანთლის ხმარების შესახებ.

ყოველი მართლ მორწმუნე აღამიანი შედის რა ეკალესიაში სალოცავად, ჩვეულებისამებრ სჯულისა, ჰყიდულობს წმინდა სანთელს და ანთებს ხატების წინ. ქრისტიანეთა ასეთი კანონიერი ჩვეულება მართლაც რომ დიდად საქები და მოსაწონარი არის ღვთისა და კაცის წინაშე. ეკალესის წმინდა სანთელი არის ჩვენი ღვთისადმი შესაწირავი წმინდა ძლვენი და წინდი ჩვენი სულიერის სიწმინდისა. როგორც წმინდა სანთელი ნათლად და წყნარად იწვის ხატის წინ, ისე ნათლად და წყნარად უნდა იყოს განმზადებული ჩვენი სული ღვთისა და მოყვისისადმი წმინდი სიყვარულითა. ასეთივე წმინდა უნდა იყოს ღვთის წინაშე ჩვენი სული და სარწმუნოება. მაშა-საღამე, როგორც ღვთის შესაწირავს, სანთელსაც ყოველთვის წმინდას უნდა ვანოებდეთ ეკალესიაში.

სამწუხაროდ, მე, თქვენს სულიერ მამას და მოძღვარს შენიშნული მაქვს, რომ ბევრს თქვენგანს შემოაქვს ეკალესიაში გაიძვერა ვაჭრებისაგან ნასყიდი ყალბი სანთელი და ანთებენ ხატების წინ. ძმანო, ეკალესისადმი ასეთი გულ-გრილობა და უმართებულო საქციელი არ შეშვენის ქრისტიან კაცება და ღვთის წინაშეც ლილი ცოდვა არის სანთელი, რომელსაც თქვენ ჰყიდულობთ დუქნებში და შემოგაქვთ ეკალესიაში ხატების წინ ასანთებად,



არ არის წმინდა. იგი შეზავებულია მრავალგვარის უწმინდური ნივთიერებითა, რომლის ბოლო, ჭვარტლი და სიმყრალე, რყენის და ბლალავს ეკკლესიის სიწმინდესა. ასეთს უწმინდურ ძლვენს ისე არ შეიწირავს ჩვენგან ღმერთი, როგორც არ შეიწირა მან უწმინდურის გულით შეწირული მსხვერპლი კაინისა. ამიტომ საჭირო არის და ურიად სასარგებლო, რომ ყოველთვის ეკკლესიაში ჰყიდულობდეთ სანთელსა. შეიძლება სოქვათ: „რა უყოთ, ეკკლესიაში ძვირად ფასობს სანთელი და დუქნებში იაფადაო“. მავრამ რა გამოვიდა? ნუ თუ არ იციოთ ძმანო, რომ ყოველი მცირე ლარსების საქონელი იაფ ფასად ისყიდება? დუქნებში ნასყიდი სანთელი ისე არ შეედრება ეკკლესიის სანთელს სიწმინდით და ლირსებით, როგორც წყალი ღვინოსა და ძმარი შარბათსა. ამას გარდა ეკკლესიის წმინდა სანთელი არის ერთადეკრთი სახსარი და საშუალება ეკკლესიის არსებობისა. სანთლის ნაფასურით ეძინება ეკკლესიას ყოველგვარი საჭირო ნივთები და სამკაულობა. ყველა ზემოთქმულის შემდგომ სრული იმედია, აღარ ასარგებლებთ გაიძვერა ყალბი სანთლის მოვაჭრეთა და ჯეროვან ყურადღებას მიაქცევთ წმ. დედა ეკკლესიის სარგებლობასა, რომელიც დაბადებიდგან სიკვდილიმდე და სიკვდილის შემდგომაც, მარად ჩვენი მზრუნველი, მარად ჩვენი პატრიონი და მოწყალე არის.

თუ რომ დღემდის უცოდინარობით ან დაუდევნელობით ჰყიდულობდით ყალბ სანთელს გარეშე ეკკლესიასა, დღეის შემდგომ მანც მოსპევით ასეთი ცუდი და ღვთის საწყენი ჩვეულება. ყოველთვის ეკკლესიაში იყიდიდდეთ წმ. სანთელსა. სანთელს თქვენ მიერ სყიდულს და აღნთებულს ხატის წინ ღმერთი კეთილად შეიწირავს, ხოლო ფული დაქმარება თქვენივე ეკკლესიის განმშვენებასა, რომელც გამოითხოვს თქვენთვის ღვთისაგან შენდობასა და მოტევებასა ცოდვათასა, რაიცა მოგანიჭოთ ღმერთმა. ამინ.

მღ. მიხეილ გაგაშელიშვილი.

**სახელმძღვანელო, საეკლესიადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა
განცემულება.**

საეჭვო გითხვების განმარტება.

კით. ორი მედავითნე მსახურებს ერთ ეკკლესიაზე, რომელნიც იღებენ მღვდლისაგან შემოსავალს. თავიანთი ხვედრი კლასის ფული, რომელიც ხდება კრებულს კომლზედ ხუთი შაური, რაიცა შეხვდებათ მედავითნებს, როგორც შემოსავლისაგან იღებენ ნაწილს, ისე ორივემ უნდა გადიხადოს თუ მარტო პირველმა ორივეს ნაწილი?

მიგ. რასაკვირველია ორივე მედავითნემ უნდა გადაიხადოს იმ წესით, რამდენსაც იდებენ შემოსავლიდან.

კით. ორი მედავითნე მსახურებს ერთ ეკკლესიაზე, ერთი მათგანი მრევლის სკოლის მასწავლებლად არის დანიშნული და იღებს ჯამაგირს როგორც მოსწავლე ბავშვებისაგან, ისე მთავრობისაგან, რომელსაც არა აქვს დრო მრევლში იმსახუროს. მეორე მედავითნე კი ყოველ მღვდელ-მოქმედების შესრულებაზე ესწრება. მრევლშიდ შემოსული საჩუქარი მარტო მღვდელმა და ამ მედავითნემ უნდა გაიყოს, თუ მასწავლებელ მედავითნესაც ერგება?

მიგ. არსებული კანონით, მასწავლებელ მთავარდიაკონს და მედავითნესაც ერგება. მასწავლებელს იმდენი ჯამაგირი არა აქვს, რომ მარტო მით დაქმაყოფილდეს.

კით. ნება აქვს თუ არა მღვდელს, რომ იქონიოს თოფი ან რევოლვერი და მტერთა თავზე დაცემის დროს დაიცვას მით თავი? დაისჯება თუ არა მღვდელი ავაზაკთა თავზედ დაცემის დროს რომ თოფით ან რევოლვერით შემოაკვდეს ვინმე ავაზაკთაგანი და რით დაისჯება იგი?

მიგ. ისეთი კანონი, რომლითაც ქონება თოფისა ან სხვა მსგავსთა იარაღთა თავის თავის და

რედაქციის პასუხი.

სხვის დასაცავად რომ აღკრძალული იყოს, არც სამოქალაქო და არც სასულიერო უწყებაში არ მოიძებნება. ამისათვის მღვდელს რომ ავაზაკი შემოაკვდეს ხელში თავის დაცვის დროს, მას არც სამოქალაქო და არც საეკკლესიო კანონი არა სჯის. გარნა წმიდა გრიგორი ნოსელის მეხუთე კანონით, უეცარი კაცის მკვლელიც შეიძლალება უწმიდური საქმითა და მერჩუშეთა თანა მონანება უნდა დაედვას და ამ მონანებით კი სამღვდელო პირს აღეკრძალება მღვდლობა საუკუნოდ. როგორც ცნობილია, უწმიდესი სინოდი ამისთანა შემთხვევაში მკაცრად ექცევა დამნაშავეთა და არავითარს შემთხვევაში ამას არავის არ აპატივებს. ამნაირი მოსაზრებით გამოიცა უქაზი უწმიდესი სინოდისაგან 1886 წელში 15 დეკემბერს, № 22, რომლის ძალით ყველა სასულიერო საჭავლებლის მოწაფე, რომელსაც თოფი ან რევოლვერი აღმოუჩნდება, უთუთ გამორიცხულ უნდა იქნეს საჭავლებლიდან.

კით. რით დაისჯება მღვდელი, რომელიც ბანქოზე თამაშობს ფულის მოგებისათვის?

მიზ. მოციქულთა 41 კანონი უქადის სამღვდელო პირს, რომელიც თავს არ დაანებებს ბანქოს თამაშს მღვდლობისაგან გაკვეთას. მართალია ამ კანონს სახეში აქვს ძვლით თამაშობა (ნარდი), რომელიც გავრცელებული იყო მოციქულების დროს, მაგრამ არ ირის საფუძველი, რომ ბანქოზე თამაშობისათვისაც ამ კანონით არ მოციქულ სამღვდელო პირს, რომელიც ივიწყებს თავის დანიშნულებას და იწყებს ამისთანა სამარცხვინო მოქმედებას, როგორიც არის მღვდლის ხარისხისათვის ბანქოს თამაშობა. ეჭვს გარეშე, რომ ამავე სასჯელს დაადგენ მოციქულები, რომ ეს უბედური დროს გასატარებელი, უსაქმობის და კაცთა ბიწიერების მოქმედება უთვილიყოთ იმ დროში... დღევანდველ სამღვდელოებას ძლიერ ამდაბლებს საზოგადოების თვალში თუთუნის წევა და ბანქოს თამაში, გარნა მოციქულთა კანონი უმეტესად ექადის...

შ. 6. მ—ქს. თქვენი სტატია არ დაბეჭდილა, რადგან თქვენ ძლიერ მოტუუბული იყავით. თქვენ მოტუუბით, მაგრამ მოგეტევებათ გამოუცდელობისა გამო...

შ. 8. დ—ქს. როგორც ადგილი გვექმნება დავბეჭდავთ. რედაქციის განშარტებას თუ თან ახლავს მართებლობის ოფიციალური განკარგულების განცხადება, რასაკირველია, ოფიციალური ხასიათი ექნება...

ზოგიერთ ხელის მომწ. ჩენ ნამდვილად ვიცით, რომ უურნალი გეგზავნებათ, მაგრამ ალბათ სადგურებზე გეკარგებათ. ყველას უნდა ყავდეს ვინმე მიჩენილი, რომ სადგურის უფროსმა უურნალ-გაზეთი მიღებისათვალი გარდაცეს დანიშნულ პირს. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი სადგურის უფროსები სრულებით არ აქცივენ ყურადღებას, რომ ხელისმომწერლებს გაზეთები არ დაეკარგოს.

შ. 9. შ—ქს. დედათა მონასტერი ერთია და მეორე სავანე. პირველში მიიღებენ, თუ თავისუფალი ალაგია უხარჯოთ; მეორეში კი თუთხმეტ თუმანს სთხოვენ პირველ შესვლაზე და შემდეგ რამდენიმე წელიწადს თავის ხარჯი უნდა იქონის. მონასტრის და სავანის წინამდღვრებს უნდა მიმართოს მთხოვნელმა. თხოვნას გერბის მარკა არ უნდა.

შ. 10. ც—ქს. თქვენ იხელმძღვანელეთ კონსისტორიის წესუბულებით და სტაროსტების ინსტრუქციით. თქვენგან მოთხოვობილი ჩვეულებანი, კანონს გარეშე მეტე მოქმედება არის.